გათამაშების რეგლამენტი და მოწყობის პირობები

წინამდებარე რეგლამენტი და გათამაშების მოწყობის პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს გათამაშებაში მონაწილეობის, საპრიზო ფონდის გათამაშების და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებს.

1. გათამაშების დამკვეთი და ორგანიზატორი:

1.1 გათამაშების დამკვეთი: Visa International Service Association, რეგისტრირებული მისამართი: 900 Metro Center Boulevard, Foster City, California 94404, USA.

1.2 გათამაშების ორგანიზატორი: შპს სააჩი ენდ სააჩი, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 97. (ფაქტობრივი მისამართი : საქართველო, ქ. თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის #23) ს/კ 406 049 057, რომელიც არის Visa International Service Association-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში წამახალისებელი გათამაშების ორგანიზების მიზნით.

1.3. შპს სააჩი ენდ სააჩი (ს/კ 406 049 057) არის საერთაშორისო სარეკლამო კომპანია, რომელიც მრავალი წელია ფუნქციონირებს საქართველოს ბაზარზე და ემსახურება არაერთ მსოფლიო ცნობადობის ბრენდს, მათ შორის - Visa-ს (ვიზა).

2. გათამაშების პარტნიორები: საქართველოში Visa (ვიზა) ბარათის ემიტენტი ფინანსური ორგანიზაციები, ბარათის მწარმოებელი პარტნიორი ბანკები (შემდგომში -„პარტნიორები“):

1. სს “საქართველოს ბანკი” ს/კ 204378869 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: BOG)
2. სს „ქართუ ბანკი“ ს/კ 204891652 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: CAR)
3. სს „ხალიკ ბანკი“ ს/კ 205236537 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: HAL)
4. სს „თიბისი ბანკი“ ს/კ 204854595 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: TBC)
5. სს „ლიბერთი ბანკი“ ს/კ 203828304 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: LIB)
6. სს „ბაზისბანკი“ ს/კ 203841833 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: BAS)
7. სს „ტერაბანკი ს/კ 204546045 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: TER)
8. სს „კრედო ბანკი“ ს/კ 205232238 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: CRE)
9. სს „ფაშა ბანკი“ ს/კ 404433671 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: PAS)
10. შპს „ფეი უნიქარდი“ ს/კ 404519455 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: PAY)

3. გათამაშების მიზეზი და მიზანი:

გათამაშების მიზეზია ციფრული საფულის გამოყენებით VISA ბარათით სარგებლობის შესაძლებლობის შესახებ დაბალი ცნობადობა მომხმარებელში. აღნიშნული პროდუქტი ახალი დანერგილია ბაზარზე და იგი პლასტიკურ ბარათთან შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებს შორის. პროდუქტის მოხმარების წახალისება ხელს შეუწყობს მისი ცნობადობის და გამოყენებადობის ამაღლებას.

გათამაშების მიზანია ციფრული საფულის გამოყენებით Visa (ვიზა) ბარათით გადახდების წახალისება, როგორებიცაა Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბარათის ემიტენტის საფულეები, POS ტერმინალებზე და ონლაინ გადახდით ტრანზაქციათა გაზრდა.

4. გათამაშების ჩატარების ვადები:

4.1. გათამაშება იწყება 2023 წლის 1 მაისს 00:00:01 საათიდან 2023 წლის 31 მაისის 23:59:59 ჩათვლით (შემდეგში „გათამაშების პერიოდი“), ხოლო გამარჯვებულების გამოვლენის თარიღია 2023 წლის 23 ივნისი 15:00 საათი. შესაბამისად გათამაშების სრული პერიოდია 2023 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან 2023 წლის 23 ივნისის 15:00 საათის ჩათვლით.

5. გათამაშების ჩატარების ადგილი:

5.1. საქართველო, როგორც საქართველოში გაცემული Visa (ვიზა) ბარათებით განხორციელებული, წინამდებარე რეგლამენტის მე-2 პუნქტში მითითებული პარტნიორი ბანკების მიერ აღრიცხული, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი გადახდები, რომელთა საბოლოო შედეგების დაფიქსირების ადგილი არის საქართველო.

5.2. გამარჯვებულების გამოვლენის ადგილია: საქართველო, საქართველო, ვარდების რევოლუციის მოედანი 1, ბოლრუმი ოთახი #1

6. გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირები:

6.1. საქართველოს რეზიდენტი (საქართველოს მოქალაქე და მოქალაქესთან გათანაბრებული პირები - საქართველოს რეზიდენტები) ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შემდეგში „გათამაშების მონაწილე“) და ფლობს საქართველოში პარტნიორი ბანკების მიერ გაცემულ Visa (ვიზა) ბრენდის ბარათს (შემდეგში „ბარათი“) და აღნიშნული ბარათით, ციფრული საფულის საშუალებით, როგორებიცაა Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბანკის საკუთარი ციფრული საფულე, განახორციელებს მინიმუმ 40 ლარის ან სხვა ვალუტაში მისი ექვივალენტ ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში ან/და ონლაინ, 2023 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან - 2023 წლის 31 მაისის 23:59:59 საათის ჩათვლით, ავტომატურად ხდება გათამაშების მონაწილე.

6.2. გათამაშებაში მონაწილეობის მიღებით მონაწილე სრულიად ეთანხმება გათამაშების წესებს და პირობებს.

7. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან:

- 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირები;
- არა-რეზიდენტი პირები;
- გათამაშების პარტნიორების, დამკვეთის ან/და ორგანიზატორის თანამშრომლები;
- აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება;
- იურიდიული პირები.

8. გათამაშების საპრიზო ფონდი

გათამაშების საპრიზო ფონდის შემადგენლობა: საპრიზო ფონდი შედგება 35 ერთეული საგზურისაგან, რომელიც იყოფა 3 კატეგორიად:

I. კატეგორია - 3 ცალი - 24368,75 ლარის ღირებულების საგზური (საცალო ღირებულება ლარში (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)
II. კატეგორია - 12 ცალი - 10560,00 ლარის ღირებულების საგზური (საცალო ღირებულება ლარში (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)

III. კატეგორია - 20 ცალი - 1250,00 ლარის ღირებულების საგზური (საცალო ღირებულება ლარში (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)

იხილეთ საპრიზო ფონდის დეტალური მონაცემები ცხრილის სახით:

საჩუქრის კატეგორია	საჩუქრის დასახელება	(საცალო ღირებულება ლარში (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)	რაოდენობა ჯამში
სუპერპრიზი - კატეგორია 1	ტანზანია „უდაბნოს ტური“- საგზური 2 ადამიანისათვის	24368,75 ლარი	3 ცალი
	ბარსელონა „დისნეის კრუიზი“ საგზური 2 ადამიანისათვის	24368,75 ლარი	
	ნორვეგია „ჩრდილოეთის ციალი“ საგზური 2 ადამიანისათვის	24368,75 ლარი	
	კუბა - ჰავანა - ვარადორა საგზური 2 ადამიანისათვის	24368,75 ლარი	
პრიზი კატეგორია 2	დუბროვიკი, ხორვატია საგზური2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	12 ცალი
	ნეპალი, კატმანდუ საგზური 2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
	მალტა, სიცილია საგზური 2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
	იბიცა, ესპანეთი საგზური 2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
	ამალფი, პოსიტანო, იტალია საგზური 2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
	გოა, ინდოეთი საგზური2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
	შრი-ლანკა საგზური 2 ადამიანისათვის	10560,00 ლარი	
პრიზი კატეგორია 3	საგზური 2 ადამიანისთვის ყაზბეგში - სასტუმრო რუმსი	1 250 ლარი	20 ცალი
	საგზური 2 ადამიანისთვის წინანდალში - სასტუმრო რადისონ ქოლექშენი	1 250 ლარი	
	საგზური 2 ადამიანისთვის ბათუმში - სასტუმრო რადისონ ბლუ	1 250 ლარი	

გათამაშების მთლიანი საპრიზო ფონდი შეადგენს 224826.25 (ორას ოცდაოთხი ათას რვაას ოცდაექვს ლარს და 25 თეთრს) ლარს კანონით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

- გამარჯვებულს უფლება აქვს, ზემოთ მოცემულ ცხრილში გამარჯვებულის რიგითობის შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის გრაფაში მითითებული ჩამონათვალიდან, თავისი სურვილისამებრ შეარჩიოს ნებისმიერი 1 პრიზი;

- გამარჯვებულს უფლება აქვს ისარგებლოს მხოლოდ ორგანიზატორის მიერ წინამდებარე რეგლამენტში მითითებული შესაბამისი საგზურით. სამოგზაურო მიმართულების შეცვლა გამარჯვებულის ინიციატივით არ დაიშვება.
- დაუშვებელია პრიზის შესაბამისი ფულადი საფასურის გაცემა და გამარჯვებულის მიერ სხვისთვის გადაცემა.
- ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ აგებს პასუხს გამარჯვებული პირის მიერ მიღებული საჩუქრის/პრიზის გამოუყენებლობაზე, ნებისმიერი პირადი მიზეზით.
- ორგანიზატორი კომპანია პასუხს არ აგებს თუ გამარჯვებული დადგენილ ვადებში არ მიიღებს პრიზს. პრიზის დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით მიუღებლობისას - ის განულდება/გაუქმდება.
- ორგანიზატორი კომპანია არ ანაზღაურებს პრიზების მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
- პრიზები შეიძლება განსხვავდებოდეს სარეკლამო/საინფორმაციო მასალაზე ასახული გამოსახულებისაგან (განსხვავება ფერში, ზომაში ან სხვა დეტალებში).

9. გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფა

9.1. გათამაშების საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გათამაშების ორგანიზატორი იყენებს სოციალურ ქსელის Facebook-ის და Instagram-ის, პირად გვერდებს:

- Facebook-ის გვერდზე: https://www.facebook.com/VisaGeorgiaGE
- Instagram-ის გვერდზე: @visa_georgia

აღნიშნულ სოციალურ ქსელ(ებ)ში განთავსდება გათამაშების წესები და პირობები, სარეკლამო/საინფორმაციო წყაროდ აგრეთვე იყენებს ვებ-გვერდს: www.visa.com.ge, სადაც გამოქვეყნდება გამარჯვებულთა ვინაობა.

10. გამარჯვებულის გამოვლენის ადგილი, დრო და კომისიის წევრები:

10.1. გამარჯვებულთა გამოვლენა მოხდება: 2023 წლის 23 ივნისს 15:00 საათზე, მისამართზე: საქართველო, საქართველო, ვარდების რევოლუციის მოედანი 1, ბოლრუმი ოთახი #1

10.2. გამარჯვებულის გამოვლენას დაესწრება დამკვეთი, კამპანიის ორგანიზატორები და მესამე პირები (ორგანიზატორთან არა-ურთიერთდამოკიდებული პირი/პირები) - კომისიის წევრები.

11. გათამაშების ჩატარების მექანიკა:

11.1. საქართველოს რეზიდენტი (საქართველოს მოქალაქე და მოქალაქესთან გათანაბრებული პირები - საქართველოს რეზიდენტები) ფიზიკური პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შემდეგში „გათამაშების მონაწილე“) და ფლობს საქართველოში პარტნიორი ბანკების მიერ გაცემულ Visa (ვიზა) ბრენდის ბარათს (შემდეგში „ბარათი“) და აღნიშნული ბარათით, ციფრული საფულის საშუალებით, როგორებიცაა Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბანკის საკუთარი ციფრული საფულე, განახორციელებს მინიმუმ 40 ლარის ან სხვა ვალუტაში მისი ექვივალენტ ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში ან/და ონლაინ, 2023 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან - 2023 წლის 31 მაისის 23:59:59 საათის ჩათვლით, ავტომატურად ხდება გათამაშების მონაწილე.

11.2. წინამდებარე წესების შესაბამისად შესრულებულ ერთ ტრანზაქციაზე გათამაშების მონაწილეს ენიჭება ერთი ბილეთი და პრიზის მოგების ერთი შანსი. გათამაშების პერიოდის

განმავლობაში ტრანზაქციათა რაოდენობა შეუზღუდავია და დამოკიდებულია „გათამაშების მონაწილეთა“ აქტიურობაზე.

11.3. ერთი დღის განმავლობაში ერთიდაიგივე წყაროდან - POS ტერმინალიდან შესაძლოა მხოლოდ 3 გადახდის აღრიცხვა გათამაშებაში მონაწილე ტრანზაქციად, რათა გამოირიცხოს გადახდის ხელოვნური გზით დაყოფა 40 ლარიან ან სხვა ვალუტაში მისი ექვივალენტ ტრანზაქციებად.

11.4. დამკვეთი წინამდებარე წესების შესაბამისად განხორციელებულ ყოველ ტრანზაქციას ანიჭებს ბილეთის უნიკალურ კოდს (**უნიკალური კოდი : ბანკის მაიდენტიფიცერებელი პრეფიქსი და ნუმერაცია 0 000 001-დან 2 000 000-ის ჩათვლით), რომელსაც უგზავნის ორგანიზატორს Excel-ის ფაილით. დამკვეთისგან მიღებულ Excel-ის ფაილს (უნიკალური კოდების მონაცემებით) ორგანიზატორი უგზავნის ბილეთის დამამზადებელს, რომელიც ბილეთზე დაიტანს ბილეთის უნიკალურ ნუმერაციას (*ბილეთის # : ნუმერაციით 0 000 001-დან 2 000 000-ის ჩათვლით) და ორგანიზატორისგან მიღებულ ბილეთის უნიკალურ კოდს (**უნიკალური კოდს : ბანკის მაიდენტიფიცერებელი პრეფიქსი და ნუმერაცია 0 000 001-დან 2 000 000-ის ჩათვლით).

ბანკის მაიდენტიფიცერებელი პრეფიქსებია :

1. სს “საქართველოს ბანკი” ს/კ 204378869 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: BOG)
2. სს „ქართუ ბანკი“ ს/კ 204891652 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: CAR)
3. სს „ხალიკ ბანკი“ ს/კ 205236537 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: HAL)
4. სს „თიბისი ბანკი“ ს/კ 204854595 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: TBC)
5. სს „ლიბერთი ბანკი“ ს/კ 203828304 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: LIB)
6. სს „ბაზისბანკი“ ს/კ 203841833 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: BAS)
7. სს „ტერაბანკი ს/კ 204546045 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: TER)
8. სს „კრედო ბანკი“ ს/კ 205232238 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: CRE)
9. სს „ფაშა ბანკი“ ს/კ 404433671 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: PAS)
10. შპს „ფეი უნიქარდი“ ს/კ 404519455 (მაიდენტიფიცირებელი პრეფიქსი: PAY)

11.5. სულ დაიბეჭდება მაქსიმუმ 2 000 000 ცალი ბილეთი, ნუმერაციით 0 000 001-დან 2 000 000-ის ჩათვლით, გათამაშების აქტივობის შესაბამისად. გათამაშების მიმდინარეობის შესაბამისად, საჭიროებისამებრ გაიზრდება დასაბეჭდი ბილეთების რაოდენობა იმ ოდენობამდე, რა ოდენობის ტრანზაქციაც განხორციელდება გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში. ბილეთების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ორგანიზატორი აცნობებს სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

11.6. გათამაშების მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობის Visa (ვიზა) ბრენდის ნებისმიერი ბარათი. დამატებითი საბარათე ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცია ჩაითვლება ძირითადი საბარათე ანგარიშიდან შესრულებული ტრანზაქციის ტოლფასად.

11.7. უშუალოდ ბილეთი არ გადაეცემა გათამაშების მონაწილეს, მას ანგარიშზე არსებული ბილეთების რაოდენობის გაგება შეუძლია კონკრეტული ბარათის საბანკო ამონაწერით: ციფრული საფულის საშუალებით, როგორებიცაა Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბანკის საკუთარი ციფრული საფულე, განახორციელებული მინიმუმ 40 ლარის ან სხვა ვალუტაში მისი

ექვივალენტი ტრანზაქცია საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში ან/და ონლაინ, 2023 წლის 1 მაისის 00:00:01 საათიდან - 2023 წლის 31 მაისის 23:59:59 საათის ჩათვლით, , უტოლდება 1 (ერთი) ბილეთს.

11.8. გათამაშება გაიმართება 1 ეტაპად:

• გათამაშების დღეს გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს და დოლურაში მოთავსდება წინამდებარე წესების შესაბამისად დაგენერირებული გათამაშების ყველა ბილეთი.

• სულ თამაშდება 35 პრიზი, დოლურადან, შემთხვევითობის პრინციპით ამოღებული ბილეთებით. აღნიშნული მიზნით, ორგანიზატორის მიერ გამოვლინდება გათამაშების 35 გამარჯვებული. გათამაშების რიგით პირველი 20 გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს მესამე კატეგორიის პრიზს; გათამაშების მომდევნო 12 გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს მეორე კატეგორიის პრიზს; ხოლო გათამაშების ბოლო 3 გამარჯვებული საჩუქრად მიიღებს პირველი კატეგორიის პრიზს.

• დოლურადან ამოღებული ბილეთის მონაცემებით (მაიდენტიფიცირებელი კოდით) ხდება კონკრეტული ბანკისა და ტრანზაქციის იდენტიფიცირება Excel-ის ერთიან ფაილის მეშვეობით, გათამაშების ორგანიზატორის მიერ.

• გათამაშების მიზნებისთის გამოყოფილი იქნება ყველა პარტნიორი ფინანსური ორგანიზაციის (ბანკის) მიერ თანამშრომელი - ოპერატორი. დოლურადან ამოღებული ბილეთის მონაცემების შესაბამისად, შესაბამისი ბანკის ოპერატორს გადაეგზავნება იდენტიფიცირებული ტრანზაქციის ნომერი. აღნიშნული ტრანზაქციის მონაცემით - პარტნიორი ბანკის ოპერატორი ახდენს გამარჯვებული ტრანზაქციის განმახორციელებელი პირის, შესაბამისი Visa (ვიზა) ბარათს მფლობელის იდენტიფიცირებას, იგი ასევე უზრუნველყოფს გადამოწმებას თუ რამდენად აკმაყოფილებს გამარჯვებული პირი წინამდებარე რეგლამენტის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, გამარჯვებული ხომ არ წარმოადგენს:

- 18 წლამდე ასაკის ფიზიკურ პირს;
- არა-რეზიდენტ პირს;
- გათამაშების პარტნიორების, დამკვეთის ან/და ორგანიზატორის თანამშრომელს;
- აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებს, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება;
- იურიდიულ პირებს

იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორის მიერ დადგინდება, რომ პირი შეესაბამება ზემოაღნიშნულ ჩამონათვალში მოცემულ რომელიმე კრიტერიუმს, შესაბამისი ბილეთი ანულირდება, არ ჩაითვლება გაცემულად და ოპერატორის მიერ გამარჯვებულთან დაკავშირება არ მოხდება.

• იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორის მიერ დადგინდება, რომ პირი არ შეესაბამება წინამდებარე რეგლამენტის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ჩამონათვალში მოცემულ რომელიმე კრტერიუმს, ოპერატორის უკავშირდება გამარჯვებულს (გათამაშებიდან მაქსიმუმ 2 სამუშაო დღის განმავლობაში).

• გამარჯვებულმა უნდა: 1. უპასუხოს სატელეფონო ზარს (3 მცდელობის შემდეგ ზარი აღარ განხორციელდება), 2. ბანკის ოპერატორს დართოს ნება რათა საკუთარი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი) გადასცეს გათამაშების

ორგანიზატორს და 3. გამოთქვას თანხმობა გათამაშებაში მონაწილეობაზე, გამარჯვებულად გამოცხადებაზე, საკომუნიკაციო არხებში მისი როგორც გამარჯვებულად მოხსენიებასა და პრიზის მიღებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბარათის მფლობელი ვერ იქნება აღიარებული გამარჯვებულად. აღნიშნულის შემდეგ, ოპერატორი გამარჯვებულს მიაწვდის პრიზის მიღებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

• იმ პირის გათამაშების ბილეთი, რომელიც არ არის თანახმა აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენაზე და/ან პრიზის მიღებაზე, ან/და არ უზრუნველყოფს პრიზის მიღებას წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებულ 30 დღიან ვადაში და/ან იმ პირის ბილეთი, რომელიც არ უპასუხებს ოპერატორის ზარს არ ითვლება გაცემულად.

•წინამდებარე გათამაშებაში მონაწილეობის მიღებით, პირი აცხადებს ცალსახა თანხმობას პარტნიორი ბანკების და ორგანიზატორის მიერ, ამავე ბანკებში დაცული მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წინამდებარე გათამაშების მიზნებისათვის, კერძოდ,ბანკი გამარჯვებული პირის მონაცემებს (სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ტელეფონის ნომერი, მომხმარებლის მიერ წინამდებარე გათამაშებით დადგენილი წესის შესაბამისად შესრულებული ტრანზაქციების ოდენობა და შესაბამისი დაშტრიხული მონაცემები, რომელიც აისახება გათამაშების ბილეთზე), გამარჯვებულის თანხმობის შესაბამისად გადასცემს გათამაშების ორგანიზატორს შესაბამისი გამარჯვებულისათვის პრიზის გადაცემის მიზნებისათვის შემდეგ საფოსტო მისამართებზე: levan.gigilashvili@saatchicaucasus.com და alexander.tskhvediani@publicis.ge

• გათამაშების დასრულების შემდეგ გაუთამაშებელი ბილეთები ამოღებული იქნება დოლურადან და მოხდება მათი უტილიზაცია, ხოლო მოგება-ხვედრილი ბილეთები კომისიის თანდასწრებით დაილუქება ცალკე კონვერტში და გათამაშების ოქმთან ერთად დაარქივდება/შეინახება გათამაშების ორგანიზატორის არქივში.

• პრიზების გათამაშების პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერას კომისიის თანდასწრებით, უზრუნველყოფს გათამაშების ორგანიზატორი.

• გამარჯვებულთა შესახებ ინფორმაცია განთავსდება 2 დღის განმავლობაში ვებ-გვერდზე:

- ვებ-გვერდზე: www.visa.com.ge

• გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს პრიზის მისაღებად გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობით მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის #23.

12. გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებს:

- 2023 წლის 1 მაისის 00:00:01-საათამდე და 2023 წლის 31 მაისის 23:59:59 საათის შემდეგ Visa (ვიზა) ბარათით ციფრულის საფულის (Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბანკის საკუთარი ციფრული საფულე) საშუალებით შესრულებული უნაღდო ანგარიშსწორება;
- ბარათით და არა ციფრული საფულით, როგორებიცაა Apple Pay, Google Pay, Garmin Pay ან/და ბანკის საკუთარი ციფრული საფულე, შესრულებული უნაღდო ანგარიშსწორება;
- ბანკომატიდან თანხის გატანა;

- თანხის გადარიცხვა ბარათის ანგარიშიდან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ანგარიშზე
- სატელეფონო ანგარიშის შევსებით განხორციელებული ტრანზაქცია;
- კომუნალური და სხვა გადასახადებისათვის შესრულებული ტრანზაქცია;
- აზარტულ თამაშებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ტრანზაქციები;
- ნებისმიერი სახის უკანონო ტრანზაქციები.

* საბანკო ტრანზაქციებიდან ზემოაღნიშნული პირობებისამებრ გამოირიცხება შესაბამისი MCC კოდები.

13. ზოგადი დებულებები

• გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემა პირადობის მოწმობის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, პირადობის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 6 დღის განმავლობაში.

• პრიზების მიღებისას (საკუთარი პირადობის მოწმობის წარდგენით) გამარჯვებულების დამატებითი წერილობითი თანხმობით ორგანიზატორი უფლებამოსილია, რომ გამარჯვებულების ფოტო-ვიდეო მასალა გამოყენებული იქნება ნებისმიერი სახის სარეკლამო მიზნებისათვის, ნებისმიერ მედია და სოციალურ არხზე გამოსაყენებლად,

• პრეტენზია განიხილება გათამაშების მიმდინარეობისას და მისი დასრულებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის #23

• პრეტენზიის განხილვის წესი: პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი ფორმით კომპანიის შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვასილ პეტრიაშვილის #23 პრეტენზიის წერილში, პრეტენზიის არსთან ერთად, წარმომდგენმა უნდა მიუთითოს მისი საცხოვრებელი მისამართი, სადაც სურს რომ მიიღოს კომპანიის პასუხი (გადაწყვეტილება) მის მიერ წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირებით. პრეტენზიების განხილვა მოხდება კომპანიის ადმინისტრაციის (იურიდიული, ფინანსური და აღმასრულებელი მენეჯმენტის დანაყოფების) მიერ, პრეტენზიის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. პრეტენზიის წარმომდგენს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობება, პრეტენზიის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, პრეტენზიის წარმდგენის საცხოვრებელ მისამართზე საპასუხო წერილის გაგზავნის გზით.

• გამოვლენილი გამარჯვებულების შესახებ ინფორმაცია დაიდება ვებ-გვერდზე:

  - ვებ-გვერდი: www.visa.com.ge

• გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. გათამაშების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა შეგროვება-დამუშავებაზე პასუხისმგებელია ორგანიზატორი.

• რაიმე სახის შეცდომის გამოვლენის შემთხვევაში, არასათანადო გააზრება, ცდომილება ან ნებისმიერი სხვა სადაო სიტუაცია, რომელიც ეხება მთლიანად გათამაშებას ან მის ნებისმიერი ნაწილს და/ან წინამდებარე წესებს, კამპანიის ორგანიზატორის გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

- გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, კამპანიის ინიციატორი კომპანია Visa (ვიზა) Inc. და მასთან აფილირებული ნებისმიერი პირი არ წარმოადგენს ორგანიზატორს. ისინი არ მონაწილეობენ გათამაშების ჩატარებასა, გამარჯვებულის გამოვლენისა და პრიზების გადაცემის პროცესში და ისინი პასუხს არ აგებენ ორგანიზატორის მიერ წინამდებარე წესების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე და არ აგებენ პასუხს კამპანიის მონაწილეთა პრეტენზიებზე.